ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

**საკრებულოს წევრის, სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის,**

ჩუღურეთის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატის,

რიმა ბერაძის

2019 წლის ანგარიში

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 88-ე მუხლის თანახმად, წარმოგიდგენთ ანგარიშს ჩემს მიერ გაწეული მუშაობის შესახებ.

2014 წლის ივლისიდან ვარ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ჩუღურეთის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი. 2017 წლის 15 ნოემბრიდან ამავდროულად ვარ სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე, ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის, ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ და გენდერული საბჭოს წევრი.

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომებში მონაწილეობა:**

საქართველოს ორგანული კანონის ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 44-ე, 45-ე, 47-ე მუხლებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილებით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტი“- ს მე-12-ე, მე–13-ე მუხლების თანახმად, საანგარიშო პერიოდში, როგორც საკრებულოს წევრმა მონაწილეობა მივიღე: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 18 და საკრებულოს 17 სხდომაში, სადაც მიღებულ იქნა საკრებულოს 95 დადგენილება და 371 განკარგულება (განხილული საკითხებისა და დადგენილება/განკარგულების შესახებ ინფორმაცია შეგიძლიათ იხ.თბილისის საკრებულოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე: (www.tbsakrebulo.gov.ge)

## სარევიზიო კომისია

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილებით, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარევიზიო კომისიის 2014 წლის 21 ივლისის №3-12 დადგენილებით დამტკიცებული დებულების თანახმად, სარევიზიო კომისიის მიერ 2019 წლის 24 იანვარს, დამტკიცებულ იქნა 2019 წლის სარევიზიო კომისიის სამუშაო გეგმა, რომელის თანახმადაც წლის განმავლობაში კომისია ახორციელებს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ორგანოების საფინანსო საქმიანობის შემოწმებას, დასკვნების შედგენას და რეკომენდაციების გაცემას. დამტკიცებული გეგმა მოიცავს 18 შესამოწმებელ ორგანიზაციას მათ შორის, ქ.თბილისის 180 საბავშვო ბაგა-ბაღს შერჩევითი მეთოდით.

სარევიზიო კომისია, სარევიზიო შემოწმებას ახორციელებს სარევიზიო კომისიის სამდივნოს თანამშრომელთა მეშვეობით, რომლებიც თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ხელმძღვანელობენ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილებით, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარევიზიო კომისიის 2014 წლის 21 ივლისის № 3-12 დადგენილებით დამტკიცებული დებულებისა და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის თანახმად. ასევე კონკრეტული შემოწმებიდან გამომდინარე, შესაბამის სფეროში მოქმედი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების საფუძველზე.

სარევიზიო შემოწმებისას შემოწმების პროცესი მიმდინარეობს ობიექტურად, მიუკერძოებლად და დამოუკიდებლად მასალების ყოველმხრივი შესწავლის საფუძველზე. შემოწმების დასრულების შემდგომ მასალები წარედგინება კომისიას განსახილველად.

შემოწმება-ანალიზის ყველა დასკვნა სარევიზიო კომისიის მიერ განიხილება კომისიის სხდომაზე. (სხდომამდე შემოწმება-ანალიზის დასკვნა გასაცნობად ეგზავნებათ შემოწმებულ ორგანიზაციებს, რომლებმაც 7 დღის განმავლობაში უნდა წარმოადგინონ თავიანთი მოსაზრებები-შენიშვნები დასკვნის ირგვლივ) სარევიზიო კომისიის სხდომაზე ხმათა უმრავლესობით მიიღება შესაბამისი გადაწყვეტილება დასკვნის შემდგომი რეაგირების თაობაზე.

სარევიზიო კომისიის მიერ საანგარიშო პერიოდში შემოწმდა 25 ორგანიზაცია (მათ შორის: 2018 წლის სამუშაო გეგმით გეგმით გათვალისწინებული 5 ორგანიზაცია და 2019 წლის სამუშაო გეგმით გათვალისწინებული 20 ორგანიზაცია. აქედან 8 ორგანიზაცია შემოწმება/განხილვის პროცესშია), სადაც შემოწმების შედეგად სარევიზიო კომისიის სამდივნოს თანამშრომლების მიერ, შედგენილ იქნა შემოწმება-ანალიზის დასკვნები.

შემოწმებულ ორგანიზაციებზე, შემოწმება-ანალიზის დასკვნიდან გამომდინარე, სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად გაცემულ იქნა რეკომენდაციები. ამასთან, შემოწმება-

ანალიზის დასკვნები, კომისიის გადაწყვეტილებით, ჩემს მიერ გადაგზავნილ იქნა დამატებითი გამოკვლევისა და შესწავლის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურში.

განხორციელებული შემოწმებების შედეგად აღმოჩენელი დარღვევები, ორგანიზაციების მიერ ხშირად არის გათვალისწინებული რეკომენდაციების სახით, რასაც ადასტურებს დასკვნებთან დაკავშირებით შემოწმებული ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი წერილობითი მოსაზრებები, რაც შემდგომში ისახება მათ გამოსწორებულ საქმიანობაში. ჩვენი რეკომენდაციების საფუძველზე რიგმა სამსახურებმა ნორმატიულ დოკუმენტებში ცვლილებები განახორციელეს, რაც ასევე მეტყველებს კომისიის გამართულ და კოორდინირებულ მუშაობაზე.

სარევიზიო კომისიის მიერ საანგარიშო პერიოდში ჩატარებულ იქნა კომისიის 17 სხდომა, სადაც განხილულ იქნა 37 საკითხი, მათ შორის რვა შემთხვევაში განხილულ იქნა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი და ერთ შემთხვევაში „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ“, რასთან დაკავშირებითაც კომისიის სახელით ჩემს მიერ საკრებულოს სხდომაზე განსახილველად წარდგენილ იქნა შესაბამისი დასკვნები.

ასევე კომისიაზე განხილვის შემდგომ საანგარიშო პერიოდში საკრებულოს სხდომაზე სამჯერ (24.01.2019წ.„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარევიზიო კომისიის 2018 წელის 6 თვის მუშაობის ანგარიში“; 18.04.2019წ. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარევიზიო კომისიის მიერ 2018 წელს შესრულებულ სამუშაოთა წლიური ანგარიში“ და 23.07.2019წ. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარევიზიო კომისიის 2019 წელის 6 თვის მუშაობის ანგარიში“) წარვადგინე ანგარიში კომისიის გაწეული მუშაობის შესახებ.

ჩემი ინიციატივით 2019 წლის 17 ოქტომბერს მოვიწვიე და სამუშაო შეხვედრა გავმართე, სარევიზიო კომისიის სამდივნოს თანამშრომლებსა და ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურსს შორის, სადაც შეხვედრაზე მოწვეული იყო სამსახურის უფროსი ბადრი გიორგიძე და მისი მოადგილე კახი ქორიძე.

შეხვედრა შეეხებოდა სამსახურების ურთიერთთანამშრომლობას, ინფორმაციის გაცვლას და სამომავლო მუშაობის კოორდინაციას. ასევე სამსახურის წარმომადგენლებმა წარმოადგინეს ინფორმაცია, ჩვენს მიერ გადაგზავნილი დასკვნების შემდგომი რეაგირებების შესახებ.

ჩემი მუშაობის პრიორიტეტია ნიჭიერი ახალგაზრდების ხელშეწყობა მომავალი კარიერული განვითარებისთვის. ამ მიზნით, ჩემივე ინიციატივით სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტებმა, თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარევიზიო კომისიაში სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტებმა სტაჟირება წარმატებით გაიარა და მათ, საკრებულოს თავმჯდომარესთან ერთად, სტაჟირების დამადასტურებელი სერტიფიკატები გადავეცით.

## ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისია

მონაწილეობა მივიღე ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 28 სხდომაში, სადაც ჩემს მიერ შესწავლილ და განხილულ იქნა 277 საკითხი.

## ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“

მონაწილეობა მივიღე ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ 15 სხდომაში, სადაც განვიხილეთ 16 საკითხი.

## საბჭოებში მონაწილეობა

ვარ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს“ წევრი. საანგარიშო პერიოდში ჩატარდა საბჭოს 4 სხდომა, სადაც განვიხილეთ 11 საკითხი. აქტიურად ვიყავი ჩართული თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018-2020 წლების გენდერული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის დოკუმენტის შედგენასა და პრიორიტეტების განსაზღვრაში.
ასევე ვარ, სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო უწყებათაშორისი კომისიის წევრი, სადაც პერმანენტურად ვიკრიბებით დღისწესრიგით გათვალისწინებული საკითხების განსახილველად. უწყებათაშორისი კომისიის ფარგლებში იმართება სხვადასხვა სახის შეხვედრები, დისკუსიები და კონფერენციები, სადაც თანასწორობისა და ინტეგრაციის საკითხებში გამოწვევებს განვიხილავთ.

## მოქალაქეთა შეხვედრები და წერილებზე რეაგირებები

საანგარიშო პერიოდში, მოქალაქეთა მიღებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში, მივიღე და შესაბამისი კონსულტაცია (დახმარება) გავუწიე 250 - მდე მოქალაქეს.

ასევე საანგარიშო პერიოდში, ჩემს მიერ სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის რანგში, ინიცირებულ და რეაგირებულ იქნა 550 - მდე განცხადება-კორესპოდენციაზე.

## მაჟორიტარი დეპუტატის საქმიანობა

მაქვს პატივი, თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჩუღურეთის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატის რანგში, წარმოგიდგინოთ ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ, 2018 წლის ნოემბრიდან - 2019 წლის ოქტომბრის თვის ჩათვლით.

ჩუღურეთის რაიონი, განსხვავებულია ქალაქის სხვა რაიონებისაგან, როგორც რელიეფური და ინფრასტრუქტული, ასევე ისტორიული თვალსაზრისითაც. ამასთანავე, მოსახლეობის დაახლოებით 8%-ს ეთნიკური ჯგუფები წარმოადგენენ, რაც კიდევ მეტად მრავალფეროვანს ხდის ჩვენს უბანს.

აქ 100 000-მდე მცხოვრები და 59 000-მდე ამომრჩეველია, რომელთა უმრავლესობამ უკვე მეორედ დამიჭირა მხარი და მომანიჭა საკრებულოს წევრის მანდატი.

მოგეხსენებათ, რომ ყოველი კვირის ოთხშაბათი, მაჟორიტარი დეპუტატებისთვის მოქალაქეთა მიღების დღეა. საანგარიშო პერიოდში, 49 ასეთი შეხვედრა გაიმართა ჩვენს წარმომადგენლობაში და ჯამში 1900 მოქალაქეს გაეწია შესაბამისი დახმარება/კონსულტაცია.

მოსახლეობასთან პირდაპირი კომუნიკაციის შედეგად იკვეთება ძირითადი პრობლემები და ამის მიხედვით ვსახავთ სამუშაოს პრიორიტეტებს. რაიონის სპეციფიკიდან გამომდინარე, მოსახლეობის მომართვიანობა ძირითადად ეხება შემდეგ საკითხებს: დასაქმება, სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში რეგისტრირება; სოციალური დახმარება (მედიკამენტები, ერთჯერადი ფინანსური დახმარებები, ოპერაციები, ჯანმრთელობის გამოკვლევა, სამშენებლო მასალით უზრუნველყოფა და ა. შ.) საცხოვრებელი სახლების გამაგრება-გადახურვა; გზებისა და ეზოების რეაბილიტაცია; მეწყერსაშიში ფერდობების გამაგრება; სანიაღვრე და საკანალიზაციო ქსელების მოწყობა; სკვერებისა და სპორტული მოედნების მოწყობა და ა. შ. პრიორიტეტების გათვალისწინებით და არსებული ბიუჯეტის ფარგლებში, ჩუღურეთის გამგეობასთან აქტიური თანამშრომლობით კეთდება მაქსიმუმი ჩვენი რაიონის მცხოვრებლების კეთილდღეობისთვის.

მოქალაქეთა იმ პრობლემების მოსაგვარებლად, რომლის გადაწყვეტაც სცილდება ჩემს კომპეტენციას, მაქვს უწყვეტი კომუნიკაცია ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებასთან.

მაგალითად - თანამშრომლობა განათლების სამინისტროსთან, სადაც ჩვენი შუამდგომლობის საფუძველზე, საანგარიშო პერიოდში N29-ე საჯარო სკოლაში ჩატარდა შენობის რეაბილიტაცია. ასევე, იგეგმება N4-ე, N 23-ე და N 30-ე საჯარო სკოლების კაპიტალური გამაგრებითი სამუშაოები.

ოთხწლიანი მუშაობის შედეგად, საანგარიშო პერიოდში დასრულდა ჩუღურეთის რაიონში, 9 ძმის ქუჩაზე, ყოფილი მე-3 საჯარო სკოლის მშენებლობა, რომელიც დარეგისტრირდა იურიდიულ პირად და ნოემბრიდან 220-ე სკოლის სახელით უკვე შეძლებს მოსწავლეთა მიღებას.

თავდაცვის სამინისტროსთან ურთიერთობაში, ძირითად იკვეთება, ყოფილ და მოქმედ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების თხოვნები საცხოვრებელი ფართების დაკანონების თაობაზე. ამჟამად, მიმდინარეობს მუშაობა, ხუდადოვის ქ. N173-ში მდებარე ბინების საკუთრებაში გადაცემის მიზნით.

მოქალაქეები ხშირად მოგვმართავენ ჯანდაცვის სამინისტროსთან შუამდგომლობის თხოვნით, სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციისთვის. საანგარიშო პერიოდში

აღნიშნული თხოვნით, 90-მა მოქალაქემ მოგვმართა. მათგან 35-ს დაენიშნა კუთვნილი სოციალური დახმარება დაბალი ქულებით. დანარჩენი განაცხადი გადამოწმებულია და მოლოდინის რეჟიმშია.

კომუნიკაციების მარეგულირებელი ეროვნული კომისია (სემეკი) - ხშირად ვშუამდგომლობთ მოქალაქეებს ხანდაზმული დავალიანების მოხსნის ან გადანაწილების შესახებ. საანგარიშო პერიოდში, 24 ასეთ ოჯახს ჩამოეწერა ხანდაზმული კომუნალური დავალიანება.

კომპანია „თელასი“ და „თბილისი ენერჯი“ - მათთან კომუნიკაციით, 9 მისამართზე მცხოვრებ სოციალურად დაუცველ, უსახლკარო ოჯახებს, რომელთაც 20-25 წელია არ ქონიათ ინდივიდუალური მრიცხველები, მოხდა მათი აბონენტად რეგისტრაცია და უწყვეტად მიეწოდებათ როგორც ელექტროენერგია, ასევე ბუნებრივი აირი.

კომპანია „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“ - თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ჩვენი შუამდგომლობის საფუძველზე, გვიწესრიგებს მიწისქვეშა კომუნიკაციებს, როგორც სასმელი წყლის, ასევე საკანალიზაციო ქსელებს, რაც მისასალმებელია, ვინაიდან 60 წელზე მეტია, რაიონში არ გამოცვლილა წყალარინების სისტემა.

განსაკუთრებულად აღსანიშნავია, თბილისი მერის ბატონი კახი კალაძის ინიციატივით, მუნიციპალური ტრანსპორტის M2 კატეგორიის ავტოპარკის განახლება. აღნიშნული სიახლე შეეხო ჩუღურეთის რაიონსაც და უკვე რამოდენიმე თვეა ახალი, MAN-ის ფირმის ევროსტანდარტების შესაბამისი ავტობუსი მოძრაობს N95-ე მარშრუტზე. სასიხარულოა ის ფაქტიც, რომ ე.წ. ყვითელი ავტობუსი N28 ჩანაცვლდა ახალი ISUZU-ს ფირმის ავტობუსით, რომელიც იმოძრავებს მარჯანიშვილის მეტროდან - სვანეთის უბანში.

სამწლიანი მუშაობის შედეგად, რომელიც ეხება საკაძის ქ. N19-ში კომპაქტურად ჩასახლებულ დევნილთა საცხოვრისს, მიღწეულ იქნა შეთანხმება თბილისის მერიასთან, რომ კაპანაძის ქუჩაზე მდებარე თავისუფალ მიწის ნაკვეთზე, აუქციონის წესით, მოძიებულ იქნება მსხვილი დეველოპერი, რომელიც გარკვეული პირობების გათვალისწინებით, ააშენებს ახალ საცხოვრებელ კორპუსს, შემდგომში დევნილებისათვის საცხოვრებელი ფართების გადაცემის მიზნით.

რაიონის უძველესი ინფრასტრუქტურიდან გამომდინარე, ბევრია ისტორიული შენობა, რომლებიც აღდგენა-რეაბილიტაციას საჭიროებს. თბილისის განვითარების ფონდის ხელშეწყობითა და ჩვენი უშუალო ჩართულობით, მიმდინარე წელს დაიგეგმა და აღდგენითი სამუშაოები იწყება 4 მისამართზე. ასეთია: წინამძღვრიშვილის 1 და 39; ჯავახიშვილის ქ. 14 და რომის ქ. 4.

მოგეხსენებათ, რომ ჩემი დეპუტატობის პერიოდში ორი ახალი (N68 და N69) თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი ბაგა-ბაღი შეემატა ჩუღურეთის რაიონს. ამასთანავე, ძველი N96, N125, N132 ბაგა-ბაღის შენობებიდან ავარიული მდგომარეობის გამო, საანგარიშო პერიოდში, ჩვენსა და ბაღების განვითარების სააგენტოს შორის შედგა მოლაპარაკება და სულ მალე ზემოთ ხსენებული ბაღების შენობები გამაგრდება და მომავალი სასწავლო წლიდან მიიღებს აღსაზრდელებს.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ სვანეთის უბანში მდებარე N 10-ე საბავშვო ბაღს მიემატა ახალი კორპუსი, 4 ასაკობრივი ჯგუფით, რომლის პრეზენტაციაც იგეგმება ნოემბრის თვის ბოლოს.

საანგარიშო პერიოდში ჩემს წარმომადგენლობაში შემოსულია შემდეგი ტიპისა და რაოდენობის განცხადებები:

- შემოსულია 950 განცხადება და შესაბამისად გაწეულია ამდენივე შუამდგომლობა.

მათ შორის სოციალური კუთხით:

- მედიკამენტები-182
- ერთჯერადი ფულადი დახმარება-451
- ოპერაცია, გამოკვლევა, მკურნალობა-60 განცხადება
- სამშენებლო მასალით უზრუნველყოფა-64
- ინფრასტრუქტურის კუთხით-37 განცხადება
- ხეების ფორმირება-გადაბელვა-22
- უფასო სასადილოს მოთხოვნა-18

შემოსული განცხადებების 90 %-ი დაკმაყოფილებულია, ჩუღურეთის გამგეობის საბიუჯეტო სახსრებიდან.

ჩუღურეთის გამგეობის ინფრასტრუქტურის სამსახურის მიერ, ჩვენი შუამდგომლობის საფუძველზე, 19 მისამართზე განხორციელდა მეწყერსაშიში ფერდობის ბეტონის კონსტრუქციით გამაგრებითი სამუშაოები, რაც ერთობ მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით ზემო ჩუღურეთისათვის დამახასიათებელი ტერასულად განლაგებული ქუჩებისათვის. ამავე სამსახურის მიერ, ძალიან ბევრ ქუჩაზე და საცხოვრებელ ეზოში განახლდა ასფალტის საფარი, მოეწყო ქვაფენილები, ქუჩების დამაკავშირებელი კიბეები, ტროტუარის დამცავი მოაჯირები, განახლდა სკვერები და სპორტული მოედნები.

რაიონის გამგეობასთან თანამშრომლობით, საანგარიშო პერიოდში, გროზნოს ქუჩაზე მოეწყო ახალი დასასვენებელი სივრცე, რომელიც თავისი მასშტაბით ყველაზე დიდია რაიონში. ტერიტორია გადაქცეული იყო ნაგავსაყრელად და მოსახლეობის თხოვნის საფუძველზე, გამგეობის ბიუჯეტით მოხდა აღნიშნული სკვერის განხორციელება.

ხშირია მოქალაქეთა მომართვიანობა საცხოვრებელი სახლების გამაგრების თაობაზე, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მიერ თანადაფინანსების პროგრამის ფარგლებში, რომელსაც დაზიანების სიმძიმის მიხედვით, ეტაპობრივად ვანხორციელებთ.

საქველმოქმედო ღონისძიებები:

- იანვრის თვეში, კომპანია Softmaster Trade-ს მხარდაჭერით, 10 მრავალშვილიან ოჯახს გადავეცით საახალწლო საჩუქრები.

- საქველმოქმედო ფონდ „მომავლის გზის“ დახმარებით, 25 სოციალურად დაუცველ ოჯახს გადაეცა ზამთრის ტანსაცმელი, სურსათი და ჰიგიენური საშუალებები.

- 27 იანვარს, ნინოობის დღესასწაულთან დაკავშირებით, რაიონში მცხოვრებ ნინოებს დღესასწაული სამახსოვრო საჩუქრებით მივულოცეთ.

- 80 სოციალურად დაუცველ ოჯახს, მივულოცეთ აღდგომის დღესასწაული.

- 25 აპრილს, წიგნის დღესთან დაკავშირებით, რაიონში არსებულ საჯარო სკოლების წარჩინებულ მოსწავლეებს, საჩუქრად გადავეცით გამოჩენილი მოღვაწეების ლიტერატურული ნაშრომები.

- არასამთავრობო ორგანიზაცია „ჯანმრთელი მომავლის“ მხარდაჭერით, აპრილსა და ივლისის თვეებში, კლინიკა „ვივა მედში“ ჩატარდა ფართოსპექტრიანი უფასო სამედიცინო გამოკვლევების აქცია, სოციალურად დაუცველი 100-ზე მეტი მოქალაქისთვის.

- 24 მაისს, მუზეუმების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ჩემი წარმომადგენლობის ორგანიზებით, ჩუღურეთის რაიონში მდებარე ილ. ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში, მოვიწვიეთ რაიონის საჯარო სკოლების წარჩინებული მოსწავლეები, რომლებისთვისაც მუზეუმში კულტურული ღონისძიება გაიმართა.

- 31 მაისს, სოციალურად დაუცველ მრავალშვილიან დედებს სასურსათე ნობათები გადავეცით.

- 1 ივნისს, ბავშვთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ჩუღურეთში მდებარე კავკასიის უნივერსიტეტის მხარდაჭერით, 50 არასრულწლოვანი, მიწვეულ იქნა გასართობ ღონისძიებაზე, სადაც გადაეცათ სამახსოვრო საჩუქრები.

- ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით, რაიონში მცხოვრებ რამდენიმე მრავალშვილიან ოჯახს სასკოლო ჩანთები და საკანცელარიო ნივთები გადავეცით.

- სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით, რაიონში მდებარე საჯარო სკოლებიდან და ბაგა-ბაღებიდან, მათივე ხელმძღვანელობის წარდგინებით, მოწვეულ იქნენ პედაგოგები, დამსახურებისა და გამოცდილების მიხედვით. მათ სამახსოვრო სიგელები და საჩუქრები გადავეცით.

- 20 სექტემბერს, დასუფთავების მსოფლიო დღესთან დაკავშირებით, ჩუღურეთელ მეეზოვეებს, მადლობის სიგელები და სამახსოვრო საჩუქრები გადავეცით.

- არასამთავრობო ორგანიზაცია „რიონი-ჩერითისა“ და ჩვენი ერთობლივი მუშაობის შედეგად, 30 პენსიონერს, ერთი წლის განმავლობაში ფულადი კომპენსაცია ჩაერიცხება.

- 12 ოქტომბერს, აკადემიკოსს ეგ. ფიფიას სახელობის დიაგნოსტიკურ ცენტრში, ქალბატონ ნანა ბუხრაშვილის ხელმძღვანელობით, 70 მოზარდზე ჩატარდა უფასო სამედიცინო გამოკვლევები.

გარდა იმისა, რაიონის გამგებელთან ერთად, პერმანენტულად ვახორციელებთ რაიონში მიმდინარე ინფტასტრუქტურული სამუშაოების მონიტორინგს. ვამოწმებთ სამუშაოების მიმდინარეობის პროცესს რაიონის ყველა უბანში და მოსახლეობას რაიონში მიმდინარე და დაგეგმილი პროექტების შესახებ ინფორმაციას ვაწვდით.

რაიონის იმ მცხოვრებლებს, რომელთაც გადაადგილების პრობლემები გააჩნიათ და მაჟორიტარებთან შეხვედრის სურვილს გამოთქვამენ, ასეთ ადამიანებთან ოჯახებში მივდივართ და შეძლებისდაგვარად ყველაფერში ვეხმარებით.

ეს გახლავთ ჩემ მიერ განხორციელებული ყოველდღიური სამუშაოს მოკლე მონახაზი. ვაგრძელებთ ამომრჩევლის მიმართ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ჩუღურეთის მოსახლეობის საცხოვრებელი გარემოსა და კეთილდღეობაზე ზრუნვას.

პატივისცემით,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს წევრი,
სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე,
ჩუღურეთის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი

რიმა ბერაძე